



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სამართლი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Law

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	რეგულირებადი

სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის ბაკალავრი (06)
ინლისურად:	Bachelor of Law (06)

პროგრამის დამტკიცების თარიღი	
პროგრამის განახლების თარიღი	
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი ლევან მოსახლიშვილი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).</p>	

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 180 ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას, მათ შორის, 140 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 40 ECTS კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს, და 22 ECTS კრედიტი კი, - პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე სრულად ორიენტირებულ კურსებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 25 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 13 ECTS კრედიტი - არასპეციალობის სასწავლო კურსებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგად განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამაზე სწავლის მსურველმა აუცილებლად ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაში უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა.

<p>საბაკალავრო პროგრამის მიზანი</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</p> <ul style="list-style-type: none"> □ ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ; □ სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის შესახებ; <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</p> <ul style="list-style-type: none"> □ საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიქცევის, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; □ სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები; □ სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; □ პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი; □ სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი. □ თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სამართლის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი; □ ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი; □ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმებითად გამოყენების უნარი; □ პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
<p>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი/ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები</p>	<p>სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების წარმატებით ათვისებისა და შესაბამისი ოდენობის კრედიტის მოპოვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც ადასტურებს, რომ კურსდამთავრებულს გააჩნია შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები.</p> <p>ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო</p>

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

- თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, აბსტრაქტულ აზროვნებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, მის ანალიზსა და სინთეზს;
- პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას და მისი გადაწყვეტის ადეკვატური გზების შერჩევას, აგრეთვე პრობლემის გადაწყვეტისათვის შერჩეული მიდგომების დასაბუთებას;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მარტივი სახის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;
- მონაცემების შეგროვებას და განმარტებას, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს;
- დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;
- ქართულ და უცხოურ ენებზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას;
- ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;
- სწავლისა და ცოდნის მუდმივად განახლებას, აგრეთვე კრიტიკულ აზროვნებასა და თვითკრიტიკას;
- უცხო გარემოში ადაპტირებასა და მოქმედებას, აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობასა და დიალოგის წარმოებას;
- პრაქტიკულ საქმიანობაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
- დროის რაციონალურად გამოყენებას და განაწილებას.
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას;

დარგობრივი კომპეტენციების საფუძველზე სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული

ცოდნა და გაცნობიერების თვალსაზრისით

შეიძენს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო და სამართლის დარგების სიღრმისეულ ცოდნას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება: სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა, სამართლებრივი სისტემის ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ფართო და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს სამართლის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, სამართლის სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

კურსდამთავრებულს ეცოდინება:

- სამართლის ცნება და ფუნქციები, სამართლის თეორიები, ძირითადი პრინციპები, სამართლის ნორმის სტრუქტურა, სახეები, განმარტების მეთოდები, სამართლის შეფარდება, სამართლის ენა, სამართლის სისტემები;
- სახელმწიფოს ცნება და ფუნქციები, სახელმწიფოს მმართველობის და ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმები; წარმომადგენლობითი და

უშუალო დემოკრატიის ფორმები, სახელმწიფო მოწყობის სხვა საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები;

- ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, ძველი ქართული სამართლის დარგები/ინსტიტუტები, ქართული სახელმწიფოს მოწყობის ისტორიული ასპექტები;
- კონსტიტუციური ნორმები; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვის გარანტიები;
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის არსი, პრინციპები, წყაროები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების თავისებურებები, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები, ადმინისტრაციული წარმოების სახეები და თავისებურებები;
- კერძო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, მათ შორის სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, საკორპორაციო სამართალი;
- სისხლის სამართლის ძირითადი ცნებები, პრინციპები და ინსტიტუტები; დანაშაულის არსი, სახეები, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის (სასჯელის) არსი, სახეები, თავისებურებები;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროები, ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობები; ევროპის სამართლის თავისებურებები;
- კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების არსი, პრინციპები, თავისებურებები (პროცესუალური სამართალი).

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სამართლის დარგისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სამართლებრივი პრობლემების გადაჭრას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მარტივი სახის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;
- სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიებას, განმარტებასა და გამოყენებას;
- იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენას;
- კანონთან ზუსტი შესაბამისობით სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და სხვა იურიდიული მოქმედებების განხორციელებას.

დასკვნის თვალსაზრისით

კურსდამთავრებულს ექნება;

- სამართლებრივი შინაარსის მონაცემების შეგროვების, ამ მონაცემებისა და სიტუაციების (ფაქტობრივი გარემოებების) გაანალიზების, სამართლებრივი შეფასების, განმარტების, არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული, კვალიფიციური იურიდიული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ფაქტებიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისა და დასაბუთებული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია;
- სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებასა და შერჩეული

	<p>მიდგომის დასაბუთების შესაძლებლობა.</p> <p>კომუნიკაციის თვალსაზრისით</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> □ ინფორმაციის მშობლიურ და უცხოურ ენებზე მოძიებას და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემას; □ იურიდიული შინაარსის ტექსტების შედგენას და წერის წესების, სამართლებრივი კონტრაქტების შედგენის წესებისა და პრინციპების გამოყენებას; □ სამართლებრივი იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას. <p>სწავლის თვალსაზრისით</p> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> □ საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეებისადმი მიდევნების უნარი; □ ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.) დადგენის და დამატებითი ინფორმაციის მოძიების უნარი; □ საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის, ცოდნის დამოუკიდებლად და მუდმივად განახლებისა და გაღრმავების უნარი. <p>ღირებულებების თვალსაზრისით</p> <p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> □ ზოგადსამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით პროფესიული საქმიანობის განხორციელებას; აგრეთვე სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედებას; □ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფას საჯარო დაწესებულებების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში; □ წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვისას პასუხისმგებლობის გააზრებას და კეთილსინდისიერად მოქმედებას; □ იურიდიული ეთიკის ნორმების დაცვას; □ სამართლებრივი ღირებულებების (კანონიერება, სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა და თანასწორობა, თავისუფლება, დემოკრატიულობა, საჯაროობა, სასჯელის გარდაუვლობა, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობისას პიროვნების უპირატესობა და სახელმწიფოს სამართლით შებოჭვა და სხვ.) სრულყოფის პროცესში აქტიურად ჩართვას და მათი დამკვიდრებისათვის ხელშეწყობას.
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან/და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.</p>

	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; <input type="checkbox"/> სასამართლო ორგანოებში; <input type="checkbox"/> სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში; <input type="checkbox"/> კორპორაციულ სტრუქტურებში; <input type="checkbox"/> საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.
<p>სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი) და მკვლევარის მომზადებაზე.</p>

<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.</p> <p>შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p><i>იეტაპის სტუდენტისათვის განსაზღვრულია შემდეგი შეფასების სისტემა:</i></p> <p>სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების ჯამური ქულა განისაზღვრება 70-ით, ხოლო დასკვნითი გამოცდის ქულა - 30-ით.</p>	

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მიღწევა.

სტუდენტი არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე, თუ მას მიღებული არ ექნება შუალედური შეფასებების ჯამური ქულის (70 ქულა) მინიმუმ 51%.

დასკვნით გამოცდაში (30 ქულა) 51%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში, გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება.

დასკვნით გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება, თუ სტუდენტის მიერ, დაგროვილი ჯამური ქულა (**დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულის გათვალისწინებით**) მინიმუმ 41-ის ტოლია.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დამატებით გამოცდას ვერ ჩააბარებს, სტუდენტს შესაბამის სასწავლო კურსში უფორმდება 0 ქულა.

II,III,IV სტუდენტისათვის განსაზღვრულია შემდეგი შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის მინიმუმ 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება.

სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო 30 ქულის 60% ან მეტი. დასკვნით შეფასებაში 60%-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ითვლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ, დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.

სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

ლექტორს უფლებამოსილია შუალედური და დასკვნით შეფასებებს განსხვავებული მოთხოვნები დაუწეროს რაც აისახება შესაბამის სილაბუსში

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებულად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესაბამისად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი, წიგნზე მუშაობის, წერითი მუშაობის, დემონსტრირების,, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, ქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი (comparative) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. სტუდენტი ჩართულია სასწავლო და/ან კვლევით საქმიანობაში. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი ამოცანის შესასრულებლად. კონკრეტული მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სალაბუსებით და სასწავლო კურსის სპეციფიკით. სწავლების პროცესში აპრობირებული სწავლების მეთოდების არსის დეფინიცია წარმოდგენილია კავკასიის სამართლის სკოლის დიდაქტიკურ სახელმძღვანელოში.

კავკასიის უნივერსიტეტში ტრადიციულად სტუდენტის სწავლა და სწავლება ორიენტირებულია პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებაზე. კაზუსტიკა და სიმულაციური პროცესები სტუდენტის ცოდნის დონის შეფასების პრიორიტეტული ფორმაა. სტუდენტის გამოკითხვა სემესტრის განმავლობაში წარმოებს თითქმის ყველა მეცადინეობაზე.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიცირებული ადამიანური რესურსით:

აფილირებული:

- პროფესორი 4
- ასოცირებული პროფესორი 5
- ასისტენტი 2

აკადემიური პერსონალი

- პროფესორი 4
- ასოცირებული პროფესორი 16
- ასისტენტ-პროფესორი 2
- ასისტენტი 1

მოწვეული პერსონალი:

- 28 მოწვეული ლექტორი

**საბაკალავრო პროგრამის
სხვა რესურსები**

კავკასიის სამართლის სკოლა არის რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა შესაბამისი სასწავლო კურსები გაიაროს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტში (გავლილი სასწავლო კურსის და კრედიტის აღიარების საკითხი გადაწყდება კანონმდებლობით და ასევე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით);

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები:

- საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია (EPLC));
- ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია (ELFA);
- საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია (EPLO);

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების რესურსები:

- ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ატლანტა, აშშ);
- ჩესტერის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (დიდი ბრიტანეთი);
- მადრიდის კარლოს III სახელობის უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- ზაარლანდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (გერმანია);
- ლუბლიანას უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი (სლოვენია);
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ესტონეთი);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი (საქართველო).

სამთავრობო დაწესებულებები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს მთავარი პროკურატურა;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;

- თბილისის საქალაქო სასამართლო;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- ქ. თბილისის მერია;
- ქ. თბილისის საკრებულო;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი;
- ნოტარიუსთა პალატა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- საჯარო რეესტრი;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- აღსრულების ეროვნული ბიურო.

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სასწავლო კურსების აღწერილობები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სასწავლო კურსების სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის 12 290 ერთეული ბეჭდური და 3192 ერთეული ელექტრონული). ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკანები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 4 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
- BioOne Complete (<http://www.bioone.org/>)
- e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-book (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)
- IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>)
- Openedition Journals (<http://www.openedition.org/>)
- Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)
- Taylor And Francis Online (<https://www.tandfonline.com/>)
- EBSCO (<http://search.epnet.com/>)- Elit package- 11 ბაზის ნაკრები
- Heinonline
- **Academic Search Elite**

- **International Security & Counter Terrorism Reference Cent**

www.codex.ge

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკანები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

8 VLAN (Virtual Local Area Network)

- Student LAN
- Student WLAN
- Staff
- VOIP
- Management
- President
- Grenoble
- Guest

კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა

- 7 კომ კლასი (168 კომპიუტერი)
- ბიბლიოთეკა (17 კომპიუტერი)

Access Points - 75 ცალი (დაფარვის ზონა: მთელი შენობა და ეზო)

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამართლის საბაკავრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტი ფინანსური დეპარტამენტის მეშვეობით. პროგრამის ბიუჯეტი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში განიხილება და თანხმდება ფინანსურ დეპარტამენტთან და უნივერსიტეტის პრეზიდენტთან.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არასპეციალობის სასწავლო კურსების, ინგლისური ენის კომპონენტის, სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის, საჯარო სამართლის მოდულის, კერძო სამართლის მოდულის, სისხლის სამართლის მოდულის, საერთაშორისო სამართლის მოდულის, პრაქტიკული უნარების კომპონენტის და თავისუფალი კომპონენტისგან. მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

არასპეციალობის სასწავლო კურსები
13 ECTS, მათ შორის 9 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 4 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.

არასპეციალობის სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში. არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 13 კრედიტი. არასპეციალობის კურსები მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. საოფისე კომპიუტერული პროგრამების, საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის პრინციპების, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკის, პოლიტიკის ძირითადი ცნებების, ფსიქოლოგიის და სხვ. სწავლებას. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ელიაროს არასპეციალობის სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

ინგლისური ენის მოდული 25 ECTS.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 25 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსების ინგლისური ენა (B1.0), ინგლისური ენა (B1), ინგლისური ენა (B2.0), ინგლისური ენა (B2) და პროფესიული ინგლისური ენის (იურიდიული ინგლისური) ხარჯზე. სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსის პროფესიული ინგლისური ენის (იურიდიული ინგლისური) ხარჯზე. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, სპეციალობის არჩევითი კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL PBT) - ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა

ტოიფელი (TOEFL IBT) - ქულათა ოდენობა: არანაკლებ 79 ქულა

ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) - ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული - 20 ECTS, მათ შორის 16 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 4 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი, მათ შორის 16 კრედიტი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე (შესავალი სამართალმცოდნეობაში, ქართული სამართლის ისტორია, რომის სამართლის საფუძვლები), ხოლო 4 კრედიტი მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე (საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი).

საჯარო სამართლის მოდული - 31 ECTS, მათ შორის 25 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 6 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.

საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 25 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 6 კრედიტი. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 6 კრედიტი. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ელიაროს საჯარო სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კერძო სამართლის მოდული - 63 ECTS, მათ

